**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებას"-„ივერიის" რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба"-„Иверія"

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროებას"-„ივერიას" ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალ 1881 წელს

## დროება-ივერიის

გამოცემაზედ

მომავალ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „დროება" გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომელების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. როგორც იმთავიდგან, გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლების-და-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

„ივერია" კი მომავალის წლიდამ გამოვა თთვე-და-თთვე, ე. ი. წელიწადში თორმეტი წიგნი, და ყოველ წიგნში იქნება არა-ნაკლებ 4 დიდის თაბახისა. რედაქცია იმედოვნებს, რომ ჟურნალი თავის დროსა და რიგზე გამოვა იმავე პროგრამმით, როგორც 1879 წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „დროება-ივერიის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. Ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი და ჟურნალი: Въ Тифлисъ. Въ редакцію Дроэба-Иверія.

ფ ა ს ი:

| | 1 წლით | 6 თვით. | 3 თვით. |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ორივე ერთად — | 14 მან. | 8 მან. | 5 მან. |
| „დროება" ცალკე — — — | 9 „ | 5 „ | 3 „ |
| „ივერია" ცალკე — — — | 7 „ | 4 „ | 2 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება-ივერიისა" { ილია ჭავჭავაძე / სერ. მესხი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღის, 10 ნოემბ. პეტერბურღის ნემეცურს „გეროლდში" იწერებიან, რომ ხელმწიფე იმპერატორმა აპატია რამდენსამე ფრანგის მღვდელს რომელნიც პოლშის უკანასკნელ არეულობის ცეცხლში იყვნენ გაგზავნილნი; ამ მღვდლებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მიენიჭათ.

ალექსინაცი, 9 ოქმბ. გუშინ დიდის დიდებით აკურთხეს აქ დახოცილ რუსის მეომრების სახსოვრად აგებული ძეგლი.

პეტერბურღი, 10 ნოემბ. გუშინ დაბრუნდა აქ მინისტერი ნაბოკოვი.

თეირანი, 9 ნოემბ. სპარსეთის ჯარებმა აიკლეს და გაანადგურეს ლუე და რამდენიმე სხვა სოფლები ქურთებისა სუჯბულაყის ახლო-მახლო ადგილებში; ეს ჯარები შაბურანს მიუახლოვდნენ. ქურთის სოფლის თავი კაცები სურდაშში გაიქცნენ.

## რევიზია

ტფილისი, 11 ნოემბერს.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოყვანილი იყო ცნობა, რომ კავკასიის მთავარ მმართებლის განკარგულებით, ოთხი უფროსი ჩინოვნიკი მთავარ სამმართველოსა დანიშნული არიან კავკასიის აქეთა მხრის ოთხი გუბერნიის სარევიზოთ.

ამ რევიზორებს დიდი უფლება და მინდობილება აქვსთ: უნდა უყონ რევიზია როგორც განსაკუთრებულ ყველა ადმინისტრაციულ დაწესებაებს აგრეთვე გაიცნონ სასამართლოების მოქმედება, დაათვალიერონ სასწავლებლები, სოფლის კანცელარიები, შეიტყონ—თუ როგორ მოქმედობენ მაზრის უფროსები, ტყის-მცველები (ლესნიჩები), მომრიგებელ შუამავლები (მიროვოი პოსრედნიკები) და სხვ. და სხვ.

რასა თქმა უნდა, რომ ჩვენში, სადაც საზოგადოთ ყოველგვარ ჩინოვნიკებზე, იმათ უკანონონო მომქმედებაზე, ხალხის შეწუხებაზე და გაყვლეფაზე მუდამ დაუსრულებელი ჩივილი და საყვედური ისმის, ვამბობთ, ჩვენში, სადაც ახლაც საარაკო საქმეები ხდება ზოგიერთ ჩინოვნიკებისაგან, სადაც ხშირად ამ ჩინოვნიკებისაგან კანონი მივიწყებულია და პირველი ადგილი საკუთარ სარგებლობასა და თვით-მნებელობას უჭირავს,— რევიზია ერთობ საჭიროა.

მაგრამ რევიზიაც არის და რევიზიაც. Თუ რევიზორმა გულ-გრილათ, გულ-აცრუებით მოჰკიდა თავის საქმეს ხელი, თუ მსუბუქად, და არა სასტიკად, აასრულა იმან თავის მოვალეობა, თუ მაგრად არ ჩაუდგა კვალში ყოველ სარევიზიო საქმეს, თუ თვითონ თავის გონებითა და თვალით არ მოინდომა გაჩხრეკა ყოველის ჩინოვნიკის ანუ უწყების საქმეებისა,— დარწმუნებული იყავით, რომ ის ვერას აღმოაჩენს; ზოგიერთი ჩინოვნიკები იმდენად დახელოვნებულნი არიან, ისეთი ხრიკები იციან, ისეთ ნაირად მოაკვარახჭინებენ საქმეს, რომ რაც უნდა მტყუანი იყვნენ, თავს გაიმართლებენ, რაც უნდა მრუდე, ცუდი საქმე იყოს, სწორად, კარგად დაანახვებენ რევიზორს და ამ ნაირად თვალს აუხვევენ.

---

«დროების» ფელეტონი, 12 ნოემბ.

### ერთი ღამე სოფელში

მე და ერთი სოფლელი გლეხი ვისხედით და სხვა-და-სხვა სოფლურ საგნებზე მასლაათს შევექცეოდით. ნავახშმევი ვიყავით, როცა ამინდისა, მოსავლის და სხვა ამ გვარ სასოფლო ტემებზე ლაპარაკი გავათავეთ, მივუბრუნდი ჩემს მოსაუბრეს და ვკითხე:

— Ივანე, არა იცი-რა ხალხის სიმღერები, შაირები ან ლექსები?—მითხარი რამე.

— ბოვშობისას კი ვიცოდი, ბატონო, მაგრამ ახლა დავბერდი, აღარ მახსოვს.

— მოიგონე რამ, ჩემო Ივანე.

— Იყო და იყო, ბატონო, და სამი ძმა კაცი იყო: ერთი ტიტველი, მეორე შიშველი, მესამეს არა ეცვა-რა. სახლი არ გააჩნდათ და კარი, რომ როგორმე უშველონ თავანთ სიღარიბესა. Ერთხელ არჩიეს, რომ მოსაგებათ სადმე წავიდეთო. Იარეს, იარეს, ბედზე გზაში ერთი კურდღელიც შეხვდათ და მოკლეს. Ღამებულზე ერთ ადგილს მივიდნენ, სადაც ნახეს სამი სახლი: ერთი ოხერი, მეორე ტიელი, მესამე ცარიელი. მიიხედ-მოიხედეს ბევრი არჩიეს, და ბოლოს ტიელი სახლი ამოარჩიეს, შევიდნენ შიგ არა იყო-რა, მხოლოდ ბუჯერზე ნახეს სამი ქოთანი: ერთი გატეხილი, მეორე დაჩენჩილი, მესამე უბსკრო, ამოარჩიეს ეს უბსკრო ქოთანი და ჩააგდეს კურდღელი ჩოსახარშავათ. Კარგათ რო მოუარეს და შეამზადეს, როგორც შეჭამადის რიგი იყო, ნახეს, რომ ამ ქოთანში ხორცი ძირ გასულიყო და მხოლოდ წვენი შიგ დარჩენილიყო...

— Აბა, Ივანე, რაებს მეუბნები, ეგ ხომ უბრალო ზღაპარია; შენ უფრო სწავლული კაცი მეგონე, გამიგონია, ერთხელ დიაკვნობასაც გიპირებდენო...

— ბატონო, ეგ გასაცინლათ მოუხსენებიათ... მაშ, თუ ინებებთ, ბულბულის სიმღერას მოგახსენებთ.

— ძალიან კარგი, აბა დაიწყე.

— ბულბული ყოფილა, მისულა ბაღში წყაროზედა, დაულევია ცივი წყალი, მიუხედ-მოუხედავს, ვარდი დაუნახავს:

ბულბული.

ბაღში მოვედი ბულბული
ვეძებდი ცივსა წყალსაო;
Უირმიზი გნახე უცხო რამ,
მალ-მალე მტაცებ თვალსაო.
Თუ ვინმე შენ სახელს მეტყვის,
მისთვინ ავილებ ვალსაო
ვაიჭერ შენდა საქებლად,
ხელმწიფეებსა ვახაროო,
შეცნობელათა მომკლავო,
Თავი სამარეს ვახალო.

ვარდი.

შენ ჩემ ცნობას რას დასდევო?
ვინ ხარ, სიდან მოსულები
მე ვარდი მქვიან სახელად,
მუშკ-ამბრის მიდევს სულები.
მადლისთვის გითხარ სახელი,
Აწი შენთვინ წასულები.

ბულბული.

მე უშენოთა რათ მინდა
სიცოცხლე ანუ ბუდია?
შენი გაწყრომა ჩემზედა
Ღიახ მოკლე და ცუდია!

რამდენი ბოროტ-მოქმედება, რამდენი კანონის ფეხით გათელვა, ხალხის შეწუხება დაფარულა და ახლაც იფარება ჩვენში! . . . . .

აი ამიტომ არის განსაკუთრებით ჩვენში საჭირო კარგი, სასტიკი და შეუბრალებელი რევიზორი, ისეთი რევიზორი, რომელმანც არავითარი შესაწყნარებელი მიზეზი ჩინოვნიკის ბოროტ-მოქმედებისა არ უნდა მიიღოს მხედველობაში და ყველაფერი გამოააშკარაოს; ისეთი რევიზორი, რომელსაც უნდა ახსოვდეს, რომ ერთის ბოროტის ჩინოვნიკისაგან ათასი უმანკო სული იჩაგრება, რომელიც მუდამ იმ მოსაზრებით უნდა ხელმძღვანელობდეს, რომ ჩინოვნიკი და საზოგადოთ ყოველ-გვარი მოხელე ხალხისთვის არის დაყენებული და არა პირ-იქით, ხალხი ჩინოვნიკისათვის. გულ-ჩჩვილობა, გულ-კეთილობა, რასაკვირველია, კარგი რამ არის, ადამიანის დამამშვენებელი ხასიათია; მაგრამ არა ამისთანა საქმეში: რევიზორმა რომ რომელიმე ხალხის შემავიწროებელი ბოროტი ჩინოვნიკი შეიწყნაროს იმის გამო, რომ ცოდვაო, ცოლ-შვილი ჰყავსო, დაიღუპებაო და სხვა ამისთანა მიზეზებით,—ეს გულკეთილობა კი არა, დიდი ბოროტება და უსამართლობა იქნება, რადგან იმ ერთის ჩინოვნიკის ხელის-დაფარებით სხვას ათას ღუპავს.

ჟველა ამას ვამბობთ იმიტომ კი არა, რომ ამისთანა გულ-ჩჩვილ რევიზორებად მიგვაჩნდეს ჩვენ ის ოთხი რევიზორი, რომელნიც ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა მაზრებში არიან ამ ჟამად გაგზავნილნი. ჩვენ არ ვიცნობთ ამ რევიზორებს და მაშასადამე არც იმის თქმა შეგვიძლიან—თუ როგორ წაიყვანებენ ისინი რევიზიასა, პატიოსნად, ენერგიულად და თამამად შეასრულებენ უმაღლესად მინდობილ უფლებას, თუ ვერა.

მაგრამ ეს კი ნამდვილად ვიცით, რომ, თუ კარგად, კვალში ჩადგომით და მოურიდებლად იმოქმედებენ ეს რევიზორები, ბევრს ისეთს ბოროტმოქმედებას აღმოაჩენენ, განსაკუთრებით მაზრების ადმინისტრაციაში, ტყის გამგეობაში და სხვა უწყებებში, რომელიც სასტიკის ყურადღებისა და დასჯის ღირსი იქნება.

და ამისთანა კარგის, მაგარის რევიზიისათვის ამათ ხალხიც დაუმადლებს და, უეჭველია, უმაღლესი მთავრობაც.

## ახალი ამბები

—

ჩვენ შევიტყეთ, რომ რამდენიმე ყმაწვილ-კაცს განზრახვა აქვთ მომავალის წლიდამ ქართული საყმაწვილო თვიური ჟურნალი გამოსცენ, სახელად „წყარო“, რომელშიაც საყმაწვილო მოთხრობები და სტატიები დაიბეჭდებაო. ამ ჟურნალის რედაქტორად ბ. ანთ. ჯუღელს ასახელებენ...

***

ბათომის სკოლის მასწავლებლად, როგორც გვითხრეს, „წერა-კითხვის საზოგადოების“ კომიტეტს, ამოურჩევია ბ. ნანეიშვილი, რომელიც ამ ჟამად პეტერბურლის მედიკო-ხირურგიის აკადემიაში სტუდენტად არის და ამ მოკლე ხანში ჩამოვა.

ბათომის სკოლისათვის სახლი დაჭერილია და თვითონ სკოლა, ამბობენ, მომავალ ქრისტეშობისთვეში გაიხსნებაო.

***

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ტფილისის სტამბებში შემდეგი ქართული წიგნები იბეჭდება: „კაცია—ადამიანი“ — თ. ილ. ჭავჭავაძის მოთხრობა, „შარიკმახერისას“ — თ. რაფ. ერისთვის ვოდევილი, „წმ. გიორგის ცხოვრება“ —მღვ. სიმონ ბეგიევისა, „ლექსთა კრება“—მიხ. აბულაძისა, „ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებსა“ —დიმ. ზ. ბაქრაძისა, „გუა-ქი, ჩემო ვეჩერო!„—ნათარგმნი კომედია ტ.-ე. ტ.-ასტვაწატურიანისა.

***

ამბობენ, რომ დ. სურამში, ერთის ყმაწვილის კაცის თაოსნობით, ქართველებისათვის სკოლა იხსნებაო.

***

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია, რომ ამ თვის 8-ს ქარსში უკურთხებიათ და გახსნილა საქალაქო სკოლა.

***

ამავე დღეს ამ სამის წლის წინათ ტფილისში გახსნილმა რკინის-გზის ტეხნიკურ სასწავლებელმა იდღესასწაულა თავის დაარსების დღე, რომელზედაც, სხვათა შორის, წაკითხული იყო გავლილ წლის სასწავლებლის ანგარიში. ამ ანგარიშიდამ, სხვათა შორის ვტყობულობთ, რომ დღეს სკოლაში სწავლობს სულ 108 ყმაწვილი და ამათგან მომეტებული ნაწილი სულ ქართველები არიან. წელს აგვისტოში ას კაცზე მეტს შეუტანია ამ სასწავლებელში შესვლის თხოვნა, მაგრამ ამ რიცხვიდამ მხოლოთ 31 ყმაწვილი მიუღიათ მოსამზადებელს და ორს ტეხნიკურ კლასებში.

## თავადს ნიკო დიასამიძეს.

ქველას შეხვედრია ბნელაში თავის ოთახში შესვლა, დაუწყვია სპიჩკის ძებნა ხელების აქა-იქა ფათურით სამთლის ასანთებლად და ამ ფათურში ხან სკამისთვის წამოუკრავს ფეხი, ხან სტოლისთვის და ხან სხვა რამე უბრალო მებელისათვის.

მეც დავწერე „სოფლური ფელტონი,“ მოვინდომე ცოტაც არის სინათლის მოფენა ჩვენის მაზრების ჩაბნელებულ ადმინისტრაციისათვის, მოვინდომე, ცოტათი მაინც გამომეაშკარავებინა ის ტყუილი-გმირები, რომელნიც საზოგადოების კეთილის-მყოფლობას ჩემულობენ, მაგრამ გულში კი სხვა თავის-მოყვარეობის აზრები ულვივით; მოვინდომე სინათლის მოფენა, მაგრამ სინათლის მიგნებამდის ცოტა ბნელაში ფათური მომინდა და პირველი საგანი, რომელსაც მე ამ ფათურის დროს ფეხი წამოვკარი ბრძანდებოდა თავადი ნიკო დიასამიძე.

ზემოხსენებულს ფელტონში ჩვენის ადმინისტრაციის მოქმედების აღწერის დროს მე გაკვრით მოვიხსენიე ზოგიერთი ჩვენი ახალ-გაზდა თავადაზნაურები, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ კალიის გაწყვეტის საქმე და რომელთაც კალიის გაწყვეტის გარდა სხვაფრივაც იჩინეს თავი; მე სხვათაშორის დავასახელე პირველის ასოებით ერთი მათგანი თ. ნ. დ.

თავადი ნიკო დიასამიძე აიტკიცა, მე ვარ ეგ თ. ნ. და დ. და მე მაბრალებთ ქრთამების აღებას, ქერების დაბალ ფასად შესყიდვას და გაძვირების დროს გაყიდვას, ურიებისაგან თამასუქების იაფად შესყიდვასაო; მე მაბრალებთ მაგისთანა ცოდვებს და დამიმტკიცეთ კიდეცაო, თორემ მედიატორებს ამოვარჩევ და გაგამტყუნებთო.

რადგან ჩემი ფელტონი ხელ-მოწერილი არ იყო, რედაქტორს მივარდა; დასწერა ერთი, პასუხი არ გაეცი, დასწერა მეორე და თითქო მართლა მართალი სული იტანჯებოდეს, ისრე რიგათ მოითხოვა, პასუხის გაცემა.

აი, ვაძლევთ პასუხს და აქვე განვუმარტებთ ბ. დიასამიძეს, რატომ მისი პირველი პასუხი უყურადღებოდ დავსტოვეთ: იქ ბ. დიასამიძე ჯერ თავსა მართლულობს მაგრამ შემდეგში ბრძანებს სწორეთ მაგისთანა საქმეების მომქმედი რომ ვიყო, (ენამ გიყივლათ), მაინც თქვენის ბანაკის კაცი ვარ და აგრე არ უნდა გაგეკიცხეთო, იქნება უმეცრებით მომდის, ჯერ დამარიგეთ და თუ არ გაგიგონოთ, მაშინ გამკიცხეთო.

ძალით სახლში შეჭრომა აჰასა ჰქვიან! ვის ელაპარაკებით ბ. დიასამიძე, ვისი ბანაკის კაცი ბძანდებით, რომელს ბანაკზედ ბძანებთ, ან ამ ბანაკში მდგომნი თავისათ გთვლიან თუ არა, რატომ ამას კი არ იკითხავთ?

ან ოც-და-თორმეტის, ოც-და-თუთხმეტის წლის კაცს ეგეთი რა უმეცრება გეწვიათ, რომ არ იცოდეთ, ქრთამის აღება ცუდია, ურიებისაგან ტყუილი თამასუქების ყიდვა და მერე გლეხ-კაცებისაგან ამ თამასუქების ძალით დაწიოკებით ფულის წართმევა ცუდია! ან რა დარიგება გეჭირვებათ, გვიან არ იქნება! მაგრამ არა, ავისა და კარგის გარჩევა კარგათ იცით,

---

ცოცხალი ვერ გაგეყრები...
რომ დამითხოვო, ცუდია...

აქ ბულბული ეუბნება ვარდს:—
შენ ცოლი და მე ქმარიო!

ვარდმა ნახვა ითაკილა,
შეუვიდა გულში წყენა.
შენ რომ სიტყვა გამიბედე,
ვის ჰკადრე ეგ ვაგლახ შენა?
მაღლა მიმინო გიჭირავს,
ქანაში გარჩობს მახეო!

ბულბული.

ვარდო მესმა ქება შენი,
გამინათლდა გული ჩემი!
ვარდო, ღმერთმა ასე მომკლას,
არ მენახოს ავი შენი!
და აგრეცა გამსახუროს
სიკვდილამდი თავი ჩემი;
მომკვდარვიყო და გეტირო,
დაგეყაროს თავს ფურცელი.

—მგონია, რომ მაგ სიმღერის ლექსში, ივანე, აქა-იქა ლექსი უნდა აკლდეს, ზოგიერთი სიტყვები სხვანაირათ უნდა ყოფილიყოს. აბა კიდევ ერთხელ მითხარი. კარგა მოიგონე. ნელ-ნელა მოჰყევი.

მე კალამი ავიღე დასაწერათა. მაგრამ ივანემ რა ნახა ეს დაწერის სამზადისი, როგორღაც შეფიქრდა, სახეზედაც ფერი ეცვალა. უეჭველია, მოინდომა უფრო სწავლულათ გამოთქმა. მაგრამ მეორეთ რომ დაიწყო ლექსი, სულ უფრო აურ-დაურია. ამისათვის მე ისევე ვეცადე როგორც პირველათ თქვა, ისევე ისე დამეწერა, და აღარა გამისწორებია-რა ამ ბულბულის სიმღერაში.

—აბა ახლა სხვა ლექსი მითხარ კიდევა.

მოჰყვა ივანე ასე:

მგელმა ოქვა, მთა-და-მთა დავდივარ,
მე ვარ ნადირი, ადრე ამდგარივარ,
მინდა სადილი.
არც ბატონი მყავს, არცა ნაზირი.
სარჩევში შევალ, ძალას ავიღებ,
რასც ღმერთი მომცემს, იმას წავიღებ.

—

მეცხვარესა ვხედავ, ჯოხი მხარზედა,
წინ ცხვარი მოუძღვის, მიდის მთაზედა,
სალამურს უკრავს ზარის ხმაზედა,
ცხვარიც მეტი ჰყავს თავის ტომაზედა.

—

მეცხვარევ, ფრჩხილი ფოლადისა მაქვს,
კბილი ალმასი.
თვალი მაქვს ნავსი,
ასეთს მოგტაცებ, ვერ დადვა ფასი.

—

მეცხვარემ უთხრა: შენ რას დამაკლებ,
ერთს დავიძახებ, ამ ჩემ ძაღლის ჯარს
თავზე დაგახვევ.

—

ამ ჩემ გძელ ხანჯალს, ხელსაც გავიკრავ(?)
მაგ ტყავს გაგაძრობ
ძალაქს გაგყიდი ქათიბაზედა.

—თუ მიბძანებ, ერთ ძილის-პირის სიმღერასაც მოგახსენებთ.

—ვისი მოგონილია ეგ ძილის-პირის სიმღერა?

—ძილის-პირის სიმღერები სახარებაში და სამღვთო-წერილებში დაწერილია; ბევრ-ნაირი კაი სიმღერებია, და მე მხოლოდ ერთი მახსოვს: ყოვლად-წმინდა ღვთის-მშობლის ქება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ როცა გიჯობთ, უმეცრებაში სდებთ თავსა, თავს იკატუნებთ!

ფაქტებსა მთხოვთ. აი ფაქტები: ერთს უბრალო გლეხ-კაცის ბიჭთან ჩამოვაგდე თქვენზედ ლაპარაკი და იმან მითხრა მილიციის მოგროვების დროს ნ. Დიასამიძემ ხუთი თუმანი გამომართვა და სხვაც ბევრი ამისთანა აულიაო.

ს. ხვითში რამდენმამე გლეხ-კაცმა გამაცნეს თქვენი მოქმედება და მითხრეს ბევრს ქერსა ჰყიდულობდა სასარგებლოთაო და ის ურიებიც დამისახელეს, რომელთაგან თამასუქები გეყიდნათ მცირე ფასათ და შემდეგ ამა-და-ამ გლეხ-კაცისათვის გადაგეხდევინებიათ სრულათ თამასუქში რაც სწერებულა. Ერთი ამ ურიათაგანი Იერუსალიმშიაც გადასახლებულა და თქვენ სულ ერთიანათ გამოგირთმევიათ, რაც თამასუქები ჰქონია, კარგათ მოგეხსენებათ ვაჭრული ანგარიში, საქონელი ერთბაშათ უფრო იაფია.

სხვასაც ბევრსა დაგისახელებდით, მაგრამ თქვენთვის ეს ფაქტები არა კმარა თქვენთვის საჭიროა სახელი და გვარი თქვენს დამაბეზღებელთა. Იცით, ამაზედ რას მოგახსენებთ: თქვენს ქუდს ჯერ წითელი ქობა შემოარლვიეთ, პოლიციაში სამსახურს თავი დაანებეთ, თქვენ თქვენს საქმეს დაადექით, სხვის საქმეში ნუ ერევით და შემდეგ მათ სახელსა და გვარს გეტყვით; თორემ კარგათ იცოდეთ, მე ჯაშუში არა ვარ და პირში არავის არ მოგცემთ, რომ შემდეგ ჩემი ჯავრი მათზედ იყაროთ.

Დასასრულს ორიოდე კითხვას მივსცემ ბ. Დიასამიძეს:

Ასე შეურაცხ-ყოფილათ რომ ჰხდის თავის თავს, არ შეიძლება გვიამბოს, როგორ შეჰყარა თავის გასამართლებლად ყმაწვილები ბორში და რა უთხრეს იმათ?

Თავის პირითვე არა სთქვა, რომ მართალია, ბევრი ჭირნახული ვიყიდე, მაგრამ სხვისთვისა მინდოდაო. Ამ ალსარებიდამ სრულ ალსარებამდის ერთი ნაბიჯილაა.

Თავის პირითვე არა სთქვა, მე ერთგვარად ვუყურებ ურიასა და ქრისტიანსაო და ბევრის გლეხისათვის დამიძალებია, მიეცი ურიას რაცა გმართებსო?

Თქვენ რომელი იასაული ბრძანდებოდით, რომ აძალებდით? Ან ეს როგორ არ იცით, რომ ურიის ვალი გლეხკაცზედ, ყოველთვის უსამართლოდ არის შემდგარი და ამგვარ მურტალს საქმეში იასაულობა არ შეჰფერის თავადს ნიკო Დიასამიძეს.

რაც შეეხება თქვენს ბძანებას, რომ ჩემი სახელი და გვარი გამოვამხილო, უკაცრავათ, ვერ ვასრულებ. Ვერ ვასრულებ ამიტომ, რომ პირველშივე არ გავამხილე და მე თქვენს ბრძანებაზედ არ დავდივარ.

Ან რა საჭიროა ჩემი სახელი და გვარი? თქვენ იმას უგდეთ ყური, რასა ვსწერ და არა იმას-ვინა ვწერ.

# სამართალი

—

## პ. ა. ბებუთოვის საქმე

გუშინ, 10 ნოემბერს, Თფილისის სასამართლო პალატაში დანიშნული იყო ორი საქმის განხილვა „Თფილისის მოამბის“ რედაქტორის თ. პ. ა. ბებუთოვისა: პირველი საქმე შორაპნის მაზრის ადრინდელ მომრიგებელ-მოსამართლის ბატ. Ი. Ღვინიაშვილის საჩივარი შეურაცხყოფაზე და გაუპატიურებაზედ და მეორე ამ გვარივე საჩივარი Თფილისის ადრინდელ საგუბერნიო ზემლემრის მიხ. Აეტოვსკისა.

პირველის საქმის შესახებ ბრალდებულმა თ. ბებუთოვმა ითხოვა, რომ, რადგან ის შენიშვნა, რომელზედაც ბ. ბრძელიევი სჩივის, ბატ. ნიკოლაძისაგან არის დაწერილი და საბუთების წარმოდგენა მხოლოდ იმას შეუძლიანო, ამის გამო დაიბარეთ ბატ. ნიკოლაძეო. სასამართლომ გადასდვა ეს საქმე იმ დრომდინ, სანამ სამოსამართლო პალატის თავს მჯდომარე არ გადაწყვეტს—დაიბარონ ბატ. ნიკოლაძე თუ არა.

მეორე მომჩივანი (დიფამაციით) ზემლემერი Აეტოვსკი ორს საგანზე სჩიოდა: ცილის-წამება არის „Თფილისის მოამბის“ მხრითაო, რომ ვითომც, როდესაც ႧႱმალეთში გავიქეცი, ძალათ დავებრუნებინოთ იქიდამ და არა ჩემის ნებით მოვსულვიყო ისევ რუსეთშიო, და მეორე, იმიტომ კი არ გავქცეულვარო, როგორც „Თფილისის მოამბეში“ ეწერა, რომ Ⴜალკის მცხოვრებლებმა მიჩივლესო.

მაგრამ, ბატ. Აეტოვსკის საუბედუროთ, ორივე ეს გარემოება ცხადათ დამტკიცდა სასამართლოში იმ დაწერილის საბუთებით, რომელიც ბრალდებულმა ბატ. ბებუთოვმა წარმოადგინა. პირველის საგნის შესახებ საბუთი იყო ოფიციალური ქაღალდები რუსეთის Აზრუმელ და სტამბოლელ დესპანებისა, რომლიდამაც სჩნდა, რომ Აეტოვსკი გამოცხადებულიყო Აზრუმის ფაშასთან და ეთქვა: თუ მაჰმადიანათ არ მომნათლეთ და ႧႱმალეთში დარჩენის ნება არ მომეცით, ან თუ გამეცით რუსის მთავრობას, თავს მოვიკლავო. Ამავე ქაღალდებიდამ აღმოჩნდა, რომ ბატ. Აეტოვსკი ႧႱმალეთიდამ ყარაულებით (ეტაპით) იყო Ⴉავკასიაში გამოგზავნილი.

მეორე საგნის შესახებ, ბატ. ბებუთოვმა წარმოადგინა Ⴜალკელების საჩივარი, რომლიდამაც სჩანს, რომ 1876 წელს ბატ. Აეტოვსკის მინდობილი ჰქონია Ⴜალკის სამზღვარზე თ. პ. Ი. მუხრანსკის ადგილის გამიჯვნა და ამ დროს იმას (Აეტოვსკის) ათასი მანეთი ქრთამი მოუგროვებია Ⴜალკელებისაგან, ბორჯომში წასულა და აქედამ ႧႱმალეთში გადახვეწილა.

Ⴗველასთვის ცხადია, რომ, ამ საბუთების წარმოდგენის შემდეგ, „Თფ. მოამბის“ რედაქტორის გამტყუვნება შეუძლებელი იყო. მართლაც, პროკურორმა უარი სთქვა გამტყუვნებაზე და გამოაცხადა, რომ, თუმცა ბ. ბებუთოვის სიმართლეში ადრეც დარწმუნებული ვიყავიო, მაგრამ კანონი თხოულობსო, რომ, როდესაც ჩინოვნიკი იჩივლებს შეურაცყოფაზე, პროკურორს უფლება არა აქვს საქმე მოსპოს, და ამის გამო [წარმოადგი]ნე გასამტყუნებელი აქტიო.

Თ. პ. ა. ბებუთოვმა დიდხანს და კარგათაც ილაპარაკა იმ უწესოებაზედ, რომელიც მოახდინეს Ⴜალკაში ზემლემერებმა მარდანოვმა და Აეტოვსკიმ.

Ის ამტკიცებდა, რომ, ამათის წყალობით, Ⴜალკელები დაღუპულ-დაღარიბებულნი არიან, რომ მარდენოვმა 10,000 მან. ქრთამად აიღო იქ როდესაც იქაურ ბერძნებსა და სომხებს მიწას უმიჯნავდა, და მაინც კიდევ არ მოიქცა ისე, როგორც კანონი მოითხოვდა, ე. ი. მთავრობის განკარგულების-და-გვარად მიწები არ დაურიგა Ⴜალკელებსო და სხვ.

Თვითონ იმ კანონის მუხლზედაც ილაპარაკა თ. ბებუთოვმა, რომელიც თხოულობს, რომ ჩინოვნიკის საჩივრის გამო რედაქტორმა უეჭველად დაწერილი საბუთები უნდა წარმოადგინონ. Ამ მუხლის წყალობით ხშირად მტყუანი და გაიძვერა ჩინოვნიკები კანონიერს სასჯელს თავიდამ იცდენენ და მართალი რედაქტორები კი დაჩაგრული რჩებიანო, რადგან ძნელია და ხან შეუძლებელიცაო, რომ ყოველ საგანზე დაწერილი საბუთი წარმოვადგინოთო და სხვ.

სამოსამართლო პალატამ, როგორც მოსალოდნელი იყო, „Თფ. მოამბის“ რედაქტორი გაამართლა.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

—

**ᲛႭᲛᲐᲕᲐᲚᲘᲡ 1881 ႼᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛႭᲕᲐ ႵᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞႭᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ႹᲣᲠᲜᲐᲚᲘ**

## „ᲔᲘᲛႭᲮᲘᲚᲕᲐ“

**პროგრამმა ამ ჟურნალისა:** ბელლეტრისტიკა, ისტორია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, შინაური მიმოხილვა და პოლიტიკა.

**გამოვა თვეში ერთხელ შვიდი თაბახიდამ ათამდის.**

---

Ეს ძილის-პირის სიმღერა მე არ მინახავს არც სახარებაში, არც სხვა სამღვთო - წერილში და არც არსად კვლავ არ გამიგონია, ამისათვის ვაგზავნი აგრეთვე დასაბეჭდავათ იმ აზრით, რომ იქმნება ბევრმა სხვებმაც ჩემსავით არ იცოდნენ:

Ალვსილხარ ყ ვლად-წმინდაო
Ⴗოველის მადლით უფლისა,
ბაღი ხარ აყვავებული
სადაგრე სრლის-წმინდისა.
Გაბრიელის ხარებითა
მოგევლინა ძალი ღვთისა,
Ⴃედა ხარ Იესო Ⴕრისტესი
Ⴖვთის ზეციერი მამისა.
Ⴄკმანული შენგნივ იშვა
მიზეზი ჩვენის დახსნისა,
Ⴅარდი ხარ მეტად ლამაზი
მოსაწონარი უფლისა.
Ⴀიხარ მუდამ შენს ძესთანა
მეოხი ჩვენის სულისა;
Ისმინე ვედრება ჩვენი,
მოწყალე ჩვენი გულისა,
Თვილი შენი ჩვენზედ იყოს,
Არ გვეშინოდეს მტერისა,
ძუძუ ისიმც დაილოცვის,
რომ რძე მიე Ⴕრისტეს პირსა.
Ⴏამი ისიმც დაილოცვის,
რომ შეიქმენ დედა-ღვთისა!
Ⴓშენოთ არ შეგვიძლიან
ხილვა წმინდა სამებისა.
Ⴔორთლოვანი ხარ ვარდისა,
სული გაქვს უკვდავებისა.
Ⴕვეყნისა ანგელოზი ხარ
Ⴃა ვარსკვლავები ცისკრისა.
ნეტარელი ხარ მარიამ
მუდამ ყოველი გვარისა,
სამი გზანი მიგაჩნია:
Ⴂვიწინამძღვრე მაცხოვრისა,
პილწსა ეშმაკსა ნუ მიგვცემ,
შეგვინახე მაცხოვრისი!
ჰოი ტკბილო დედოფალო,
Ⴅინ არი შენი მსგავსისა.
მარიამ მიმადლებულო,
სიტყვა გაქვს ანგელოზისა.
შიშველი ვარ მე ცოდვილი,
მე შენს მზესა შემავედრე
Ⴉაბა ჩამაცვი ნათლისა.—

Ახლა როგორ ფიქრობთ ამ ჩემ Ივანეზე, რომელიც სოფლელი უბრალო კაცია? ჰხედავთ, ჯერ როგორ ზლაპარით და საარშიკო სიმღერით დაიწყო, მერმე გადავიდა მამაცურ ლექსზე და დაბოლოვა ლოცვითა. Ასე, ერთ საათში, მთელი პოეზიის ისტორია დაასრულა; რადგანაც პოეზიასაც, როგორც სხვა ყოველ რასმესაც, თავის ყმაწვილობის და ვაჟკაცობის დრო აქვს.

მე მგონია, რომ ეს უკანასკნელი ლექსი ვისმე სოფლელს გამოუთქვამს, და პირველში უკეთაც უთქვამს, ვინემც ახლა მისი შთამომავალნი ამბობენ.

როგორც უნდა იყოს, მაინც პოეტური გრძნობა გავრცელებულია ჩვენს ხალხში და ამისთანა გლეხ-კაცები, როგორც ეს ჩემი Ივანე, რომელთაც ბევრი ლექსები გაზეპირებული აქვსთ და იქნება თვითონაც გამოუთქვამსთ რამე, სოფლებში მრავალნი იპოვებიან.

ალექსანდრე Ⴔუბალოვი.

სოფ. მუხურა.

ფასი ჟურნალისა წელიწადში რვა მანეთი; ნახევარი წლისა ოთხი-და-ათი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში ჩარკვიანისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში, ქვაშვეთის ეკკლესიის შენობაში **№ 1 და 2** და თვით რედაქციაში გიორგიევის ქუჩაზე, არჯევანიძის სახლებში, **№ 11.**

გარეშე ხელის-მომწერნი მომართვენ რედაქციას ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Гр. Чарквіани.**

რედაქტორი და გამომცემელი
ნინო გაბაშვილი.
(5—2)

---

„პირუტყვთა დამცველი ტფილისის საზოგადოების“ გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომ საწევრო ხვედრი ფული წარადგინონ საზოგადოების ხაზინადართან ბატ. ქასუმოვთან იმის სავაჭრო სახლში, ერევნის მეიდანზე, ჯაყელის სახლში. ვინც ამ ნოემბრის 20-მდინ ფულს არ შემოიტანს წევრობიდგან გამორიცხული იქნება.
5—2

---

გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება

# პეპო

თხზულება გაბრ. სუნდუკიანცისა
ავტორისგანვე ქართულად ნათარგმნი.

**ისყიდება:** შავერდოვის სააგენტოში (ბულვარზე), ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში (არწრუნის ქარვასლაში) და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ზუბალოვის შენობაში, ხიდთან.)

ფასი 40 კაპ.
(5—2)

---

ტფილისში

# შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შავერდოვის პავილიონში.)

**დაიწყო ხელის-მოწერის დრო 1881 წლისათვის**

ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: **Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.**
(25—3)

---

**ჯანჯულაზოვის საქმეების კონკურსის** უპრავლენიის განკარგულებით ჯანჯულაზოვების დიდს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში გაისყიდება სხვა-და-სხვა **საქონელი** და **თუჯის** ფეხები ნარდათ და ცალკ-ცალკე მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ და საღამოს 5-დამ 8-მდინ.

კურატორი პ. ლებედინსკი.
5—4

---

არწრუნის თეატრში
ოთხშაბათს, 12 ნოემბერს
ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

I
დროებითი

# სიყვარული

კომედია 2 მოქ., გადმოკ. რუსულიდ. თ. დ. ერისთავისაგან.

II

# იჭვიანი

ვოდევილი 1 მოქ. რუსულიდ. გადმოკ. თ. რ. ერისთავისაგან.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი 7½ საათზე.

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის აღ-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.
(150—4)

---

# ჰილებ

ეკკლესიის კანკელს

ყველა მოწყობილებით და სახლის მოწყობილების ჩუქურთმას მოსაჭრელად.

ჩემი ქარხანა იმყოფება საპიორნის ქუჩაზედ, ბერძენოვის სახლში, № 18

კანკელისა და მებელის ჩუქურთმის მჭრელი

დავით ივანეს-ძე გიგაური.
(10—9)

---

შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მაეთად ღირს.
(100—66)

---

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ქურქელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.
(100—50)

---

ბუსტაპ კეპენის



მაშინების მაღაზიაში

მოსკოვში, მიასნიცკის ქუჩისა და ლიუბიანი მეიდნის კუთხეში

მიიჰოება შემდეგი მაშინები:

ორთქლის მაშინები 3—25 ცხენის ძალისა.

სალესავი მაშინები 28 ფუტამდინ სიგრძით.

საბურღავი მაშინები.

საშალაშინებელი მაშინა.

მონომეტრები, კრანები, არმატურა.

ათეულის (დესიატიჩნია) სასწორი.

ინგლისის ქამრის ტყავები.

რკინის ტრუბები (მილები) და სხვ. და სხვ.

აქვე ჰკისრულობენ სხვა-და-სხვა ქარხნების გამართვას.

პრეისკურანტი (ფასების სია) მსურველს მოთხოვნისათანავე გაეგზავნება.
4—3

---

# НЕВА

**1881. ИЛЛЮСТР. ГАЗЕТА, XXIV Г.**

„**Нева**“ состоитъ изъ 3 изданій: а) **Нева.** б) **Журналъ Романовъ** и Повѣстей в) **Парижскія моды,** полный дамскій журналъ. 4000 столбцовъ текста и **600 великолѣпнѣйшихъ иллюстрацій.**

4 преміи, въ томъ числѣ обратившій на себя общее вниманіе **большой гравированный на СТАЛИ,** портретъ **Государя Наслѣдника, 2 олеографій** съ картинъ **Айвазовскаго** и **Клевера** и гравюра **Гейльбута** „Въ поляхъ“ съ парижской выставки.

Цѣна 6 р. и за тщательную упаковку и перес. премій 50 к. Безъ доставки 5 р., съ дост. 6 р.

**Нева** и **Иллюстр. Вѣстникъ** съ большимъ роскошно выполненымъ на **СТАЛИ** портретомъ **Е. И. В. Наслѣдницы Цесаревны** 9 р. и за тщательную упаковку и перес. премій 50 к. Безъ дост. 8 р., съ дост. 9 руб.

„**Нева**“ представляетъ собой въ астоящемъ смыслѣ слова **Газету для всѣхъ и обо всемъ.** Польза, удовольствіе, интересъ доставляемые ею дѣлаютъ ее необходимой въ каждой образованной семьѣ.

**Первыя тысячи подписчиковъ получатъ всѣ преміи въ декабрѣ 1880 г.**

**ИЛЛЮСТР. КАЛЕНДАРЬ НА 1881 г.**

Пользующійся благосклонностью публики, **Иллюстриров. Календарь Баумана** появится въ октябрѣ, украшенный **олеографіей: СЧАСТЬЕ МАТЕРИ.** Кромѣ календарныхъ свѣдѣній онъ содержитъ въ себѣ романъ изъ современной русской жизни „**Наслѣдство Ксеніи**“, справочный отдѣлъ, интересныя и полезныя статьи, повѣсти, разсказы, множество практическихъ совѣтовъ, юмористики и проч. Въ красивой папкѣ 1 р., съ перес. 1 р. 30 к., въ переплетѣ съ золотымъ тисненіемъ 1 р. 80 к. Для подписчиковъ на „**Неву**“ или „**Вѣстникъ**“ 75 к., въ перепл. 1 р. 20 к., съ пересылк.: въ папкѣ 1 р., въ перепл. 1 р 50 коп.

Требованія адресовать: въ контору журнала „**НЕВА**“ **Исаакіевская площадь, № 6, на углу Большой Морской, въ Петербургѣ, или въ Москву: въ Централную Контору объявленій для всѣхъ европейскихъ Газетъ ( Л. Метцль) Петровка, домъ Салодовникова.**

**Ц.** (3—2)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ 11 Ноября 1880 г. Типографія Меликова ზამოშ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.